



საკოორდინაციო საბჭოს რიგგარეშე შეხვედრის ოქმი

თარიღი: 19 მარტი, 2013 წელი

დრო: 10:30 – 12:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"- ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ქოჩლაძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
2. ლაშა ტულუში - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი
3. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი
4. ოლეგ შატბერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი
5. თამაზ ვაშაკიძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი
6. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი
7. ნათია აბრამია - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი
8. ვანო ჩხიკვაძე - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო

განსახილველი საკითხები

1. ნინო ლაპიაშვილის წერილი და მასზე რეაგირება
2. ევროინტეგრაციის პროცესში არსებული გამოწვევები
3. ციხის საერთაშორისო რეფორმის განაცხადი წევრობაზე

საკოორდინაციო საბჭოს რიგგარეშე შეხვედრაზე დამსწრეებმა პირველ საკითხად განიხილეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორის, ნინო ლაპიაშვილის, წერილი, რომელიც მან ამა წლის 21 თებერვალს, საქართველოში მოქმედ რამდენიმე საელჩოს გაუგზავნა. აღნიშნული წერილი სამდივნომ უკვე გაავრცელა პლატფორმის საერთო ქსელში წევრი ორგანიზაციების ინფორმირების მიზნით.

მსჯელობის შემდეგ დამსწრეებმა საჭიროდ არ ჩათვალეს ამ წერილზე წერილითვე რეაგირება და შეთანხმდნენ, რომ საელჩოების, პლატფორმის წევრებისა თუ სხვა დაინტერესებული პირების მხრიდან გამოხმაურების შემთხვევაში, საკოორდინაციო საბჭო ნებისმიერ დროს მიაწვდის მათ დამატებით ინფორმაციას პლატფორმის საქმიანობაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ასევე ევროინტეგრაციის პროცესში არსებულ გამოწვევებზე და შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია ამ საკითხზე პლატფორმის პირველი სამუშაო ჯგუფის შეკრება და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა.

შეხვედრის ბოლოს დამსწრეებმა განიხილეს ციხის საერთაშორისო რეფორმის განაცხადი წევრობაზე. ხმათა უმრავლესობით დადებითად გადაწყდა ორგანიზაციის პლატფორმაში გაწევრიანების საკითხი.

საათნახევრიანი განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია